

**შორის ელემენტის შემცველი რთული
ფუძეების შესახებ**

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დიდი გავრცელება პოვა ისეთმა კომპოზიტებმა, რომელთა მეორე ნაწილად გვევლინება **შორის** (წარმოშობით თანდებული). ეს სიტყვები აღნიშნავს ორ და მეტ რისამე შორის მოქცეულ საგანს, სივრცეს, მოვლენას და ა. შ. განუწყვეტლივ იქმნება **შორის**-ის შემცველი ახალ-ახალი სიტყვები, ტერმინები ცოდნის სხვადასხვა დარგში, პრესაში და შემდეგ ბევრი მათგანი ვრცელდება საყოველთაოდ; ეს წარმოება ამჟამად ქართულში დიდად პროდუქტიულია.

დღეს ასეთი სიტყვები მისადაგებულია რუსულ კომპოზიტებთან, რომლებსაც პირველ შემადგენელ ნაწილად მოუდის между- ან меж- და **შორის**-ს ეკისრება მათი ფუნქციის გადმოცემა. მხედველობაში გვაქვს ისეთი ზედსართავები, როგორცაა, მაგალითად, ერთი შრივ, между-городный, международный, междуведомственный, междурядный და მისთ., ხოლო, მეორე შრივ, междунациональный, междупланетный, междуколхозный, межрайонный და სხვ.

Между- და меж-სინონიმური ელემენტებია და, როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ზოგი სიტყვისგან პირველი ქმნის კომპოზიტს, ზოგისგან — მეორე.

ქართულში ამ ტიპის კომპოზიტური ზედსართავების „ასაგებად“ გამოიყენება რამდენიმე წესი. მათთვის საერთოა ის, რომ კომპოზიტის პირველ ნაწილად აღებულია არსებითი სახელი ნათესაობითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის -თ(ა) დაბოლოებით; გვაქვს წარმოება თავსართ-ბოლოსართით (სა- — -თ), გვაქვს უმათოდ.

თავსართბოლოსართიანი ზედსართავების მაგალითები:

ა) ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება სრულია: -თა

„თელავის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია“¹.

„საკოლმეურნეობათაშორისო მერქვევობის ფერმა“.

„სარესპუბლიკათაშორისო სავაჭრო ბაზა“.

„საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირი“.

„სარაიონათაშორისო ელექტროსადგური“.

„სარაიონათაშორისო ავტოსატრანსპორტო საწარმო“.

„სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საუწყებათაშორისო გეოფიზიკური კომიტეტი“.

„საუწყებათაშორისო საბჭო“.

„აბაშის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანება“.

„საკონტინენტათაშორისო თასის გათამაშება კალათბურთში“.

„საკონტინენტათაშორისო ლაინერი ილ-62“.

„სასკოლათაშორისო აუზი“.

„ჩატარდა საგამომცემლობათაშორისო კონფერენცია“.

ბ) ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება შეკვეცილია: -თ

„სამთავრობათშორისო კომისია“.

„საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირი“.

„სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი“.

„საპლანეტათაშორისო ტრასაზე ავტომატური სადგური „ვენერა—9“.

ამ ტიპის კომპოზიტების უმეტესობა ახალწარმონაქმნია და მათი სიმრავლე გამოწვეულია სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური საჭიროებებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი შედგენის წესიც ახალია. მაგალითად, სიტყვა „საერთაშორისო“ უკვე მე-19 ს-ში გვხვდება:

„პეტერბურგში... ამჟამად დიდი საერთაშორისო რუსეთ-გერმანიის ბრძოლაა ჭადრაკის ფიცარზედ“ (ლაპარაკია ტარაშ-ჩიგორინის საჭადრაკო მატჩზე). („ივერია“, 6.XI.1893 წ.).

ხშირად между- (меж-) ელემენტის შემცველი კომპოზიტების შესაბამისი ქართული სიტყვები მხოლოდ შორის-ით არის გაფორმებული (სა- — -ო-ს გარეშე), ოღონდ აქაც მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებად გვაქვს როგორც სრული სახეობა -თა, ისე შეკვეცილი -თ.

-თა

„სამშენებლო ორგანიზაციებმა დააზიანეს ოთხი სადგურთაშორისი ტელეფონის კაბელი“.

¹ მაგალითები ძირითადად მოგვყავს 1950—1980 წლების გაზეთებიდან („კომუნისტ“, „თბილისი“, „ლელო“), რომელთა სახელწოდებასა და თარიღს არ ვუთითებთ.

„[კეპროსზე] რეაქციის პირველი შეტევა... ტომთაშორისი უშუალოდ გაღვივებით დაიწყო ჯერ კიდევ 1963 წ.“.

„მეურნეობათაშორისი საწარმოები“.

„კიბერნეტიკაში მომუშავე სპეციალისტი დისციპლინათაშორისი სპეციალისტი უნდა იყოს“.

-თ

„ვარსკვლავთშორისი მოვზაურობა“.

„ვარსკვლავთშორისი ზონდები“.

„ინგლისის კონსერვატორები ახლა არ ცდილობენ პარტიათშორისი ბრძოლის გამწვავებას“.

„გავაფართოოთ... რკინიგზის ტრანსპორტის დარგთშორისი საწარმოების ქსელი“.

„მთავრობის კომისიებისა და ქარხანათშორისი კომიტეტების შეთანხმება“.

ამ წესით კომპოზიტების შედგენას დიდი ხნის ისტორია აქვს. შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი ილიას პუბლიცისტური წერილიდან: „ესეთი კაცთაშორისი უსამართლო, უმადლო და უღმობელი ურთიერთობა, რასაკვირველია, ოდესმე თავის დროსა და უამს მოიჭამს“². უფრო მეტიც, ისეთი ტერმინები, როგორცაა საუკუნეთაშორისი, ცხოველთა-შორისი, უამთა-შორისი, რიცხუთა-შორისი და სხვ., ცნობილია ჯერ კიდევ XI—XII სს-ის გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის (აგრეთვე ეფრემ მცირის) შრომებიდან³.

შორის-ის შემცველი სიტყვები, ყველა ზემომოყვანილი წესით შედგენილი, შესულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და სამტომიან რუსულ-ქართულ ლექსიკონში (ტ. I, 1956 წ.).

ქველ

სა — -შორის-ო

-თა

საერთაშორისო

საეროვნებათაშორისო

-თ

საბრიგადათშორისო

საპლანეტათშორისო⁴.

² ი. ქავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, თბ., 1957, გვ. 347.

³ დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975 წ., გვ. 104—105.

⁴ ერთ სიტყვაში ანახევარკავებშია ჩასმული: „საბიბლიოთეკათაშორისო“; ე. ი. დასაშვებად არის მიჩნეული ორივე სახეობა.

საზონათაშორისო
 საკოლმეურნეობათაშორისო
 სარაიონთაშორისო
 საქალაქთაშორისო
 და სხვ.

-შორის-

(თავსართ-ბოლოსართის გარეშე)

-თა

-თ

კაცთაშორისი
 რემონტთაშორისი
 ერთაშორისი
 მწკრივთაშორისი⁵
 რიგთაშორისი.

მუნღთშორისი
 მწკრივთშორისი⁵
 კონტორათშორისი
 გზათშორისი.

შენიშვნა. ქეგლ-ში შესულია აგრეთვე თ¹ა¹-ს გარეშე შედგენილი რამდენიმე კომპოზიტი და მათთან მოცვანილია სათანადო გამოთქმები: ლიანდაგშორისი: განიერი ლ. სართულშორისი: ს. გადახურვა. ს. სარტყელი. უჯრედშორისი: უ. ნივთიერება. მაგრამ ამგვარმა კომპოზიტებმა გავრცელება ვერ პოვა.

რუს.-ქართ. ლექსიკონი
 (ტ. I, 1956 წ.)

სა- — -ო

-თა

междугородный
 международный

საქალაქთაშორისო
 საერთაშორისო

-თ

междуведомственный
 межколхозный
 межсессионный

საუწყებათშორისო
 საკოლმეურნეობათშორისო
 სასესიათშორისო

რუსულ-ქართულ ლექსიკონში ყველაზე მეტია უთავსართბოლო-სართოდ შედგენილი კომპოზიტები:

⁵ აქაც, როგორც ვხედავთ, ერთი კომპოზიტი ორივე სახით გვხვდება; ერთგვარი უპირატესობა აქვს მიცემული -თ-იანს: „მწკრივთაშორისი“ მითითებულია „მწკრივთშორისზე“.

междуплеменной
 междуреберный }
 межреберный }
 межнациональный

-თა
 ტომთაშორისი
 ნეკნთაშორისი

ერთაშორისი

междурядный
 межремонтный
 межзубный
 межкостный
 межбиблиотечный
 межвидовой
 межклеточный
 межпланетный
 межпромысловый
 межреспубликанский
 межцеховой

-თ
 მწკრივთშორისი
 რემონტთშორისი
 კბილთშორისი
 ძვალთშორისი
 ბიბლიოთეკათშორისი
 სახეობათშორისი
 უჯრედთშორისი
 პლანეტათშორისი, ცთომილთშორისი
 გარეცხვათშორისი
 რესპუბლიკათშორისი
 საამქროთშორისი

რამდენიმე სიტყვას მიწერილი აქვს ორ-ორთ შესატყვისი (ყველ-
 გან პირველ ადგილზეა უთავსართბოლოსართო წარმოება):

межзаводской
 межрайонный
 межсоюзный

ქარხანათშორისი, საქარხანათშორისი
 რაიონთშორისი, სარაიონთშორისი
 კავშირთშორისი, საკავშირთშორისი

სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიებში არჩევანი შეჩერებულია
 -თ — -შორის სახეობაზე.

მოგვყავს ნიმუშები ორი ტერმინოლოგიიდან:

სოფლ. მეურნ. ტერმ. (1959 წ.) ტექნიკური ტერმინ. (1977 წ.)

კოლმეურნეობათშორისი

ატომთშორისი

სახეობათშორისი

ბლოკთშორისი

მწკრივთშორისი

მწკრივთშორისი

უჯრედთშორისი

და სხვ.

ჯიშთშორისი

(სულ 50 ერთეული)

მეურნეობათშორისი

პირველში არის ერთი გამონაკლისი: შეტანილია „საკოლმეურ-
 ნეობათშორისო“ („კოლმეურნეობათშორის“-თან ერთად), მეორეშიც
 ერთი — „საქალაქთაშორისო“.

არცთუ იშვიათად ვხვდებით მხოლოდ -ო ბოლოსართის მქონე
 ზედსართავებს (-სა თავსართის გარეშე).

მაგალითები პრესიდან:

„საქართველოს პროფსაბჭოს კ ა ე შ ი რ თ შ ო რ ი ს ო კულტურის სასახლე“.

„ზონალურ და ზ ო ნ ა თ შ ო რ ი ს ო ტურნირებში ვლინდებიან უძლიერესი მოჭადრაკეები“.

„რ ე ს ჰ უ ბ ლ ი კ ა თ შ ო რ ი ს ო მიწოდება“.

„იტალიის ეკონომიკური დაპროგრამების ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო თ ა - შ ო რ ი ს ო საბჭო“.

„ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო თ ა შ ო რ ი ს ო სოციალისტური ინტერესები“.

„ს ა ა მ ქ რ თ ა შ ო რ ი ს ო კომიტეტი“.

მაგალითები სხვა წყაროებიდან:

„რ ე ს ჰ უ ბ ლ ი კ ა თ შ ო რ ი ს ო მიგრაციული პროცესები“ („ცისკარი“, № 2, 1976, გვ. 132).

„მდივანი ა მ ე რ ი კ ა თ შ ო რ ი ს ო საქმეების დარგში“ (უ. მანჩესტერი, კენედის მკვლელობა, თბ., 1974, თარგმ., გვ. 21).

„ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა თ შ ო რ ი ს ო აბონემენტი“ (წარწერა ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში).

ისეთ მაგალითებში, როგორცაა: „სამინისტროთაშორისო“, „სახელმწიფოთაშორისო“ და მისთ., სა- თავსართი, ეტყობა, გაგებულია როგორც ბოლო -ო სუფიქსთან დაკავშირებული („საქალაქთაშორის-ო“-ს მსგავსად); სინამდვილეში ეს სა- უკავშირდება კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილის -ო სუფიქსს („სა-მინისტრო-ო“, „სა-ხელმწიფო-ო“)⁶.

*

* * *

ამგვარად, ერთი ტიპის ზედსართავების გადმოსაცემად, რომლებსაც რუსულში პირველ ნაწილად აქვს МЕЖДУ- ან (იმავე დანიშნულების) МЕЖ-, გამოიყენება რამდენიმე სახეობის ზედსართავი: სა-ზონათა-შორის-ო, სა-რაიონ-თა-შორის-ო... სა-ზონათ-შორის-ო, სა-პლანეტათ-შორის-ო... სადღურ-თა-შორის-ი, ტომ-თა-შორის-ი... ვარსკვლავთ-შორის-ი, პარტია-თ-შორის-ი... სამინისტროთა-შორის-ი, სახელმწიფო-თა-შორის-ი... ბიბლიოთეკათ-შორის-ო, რესპუბლიკათ-შორის-ო. ლიანდაგშორის-ი, უჯრედშორის-ი...

⁶ და, სერთოდ, ასეთმა სიტყვებმა ხომ არ შეუწყო ხელი მხოლოდ -ო სუფიქსის მქონე („ბიბლიოთეკათშორისო“, „რესპუბლიკათშორისო“) კომპოზიტების შექმნას?

აქედან ბოლო ორი სახეობა (რესპუბლიკათშორის-ო, ლიანდაგშორისი...) სხვებთან შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული და უმარტებულოდ არის ნაწარმოები, ამიტომ ისინი უნდა გათიერიცხოს.

რაც შეეხება სხვა პარალელურ ფორმებს, ყველას აქვს არსებობის უფლება, მათგან არცერთი არ არის „უკანონოდ“ შედგენილი. მაგრამ მაინც მათგანაც, ჯობია, არჩეულ იქნეს რომელიმე; არ არის მიზანშეწონილი გვექონდეს ტერმინად (ეს სიტყვები კი ძირითადად ტერმინებია) სიტყვის რამდენიმე სახეობა.

ჩვენი აზრით, უპირატესობა უნდა მიეცეს უთავსართბოლოსართო კომპოზიტებს, მათ შორის კი ისეთებს, რომელთა პირველი ნაწილის ნათესაობითის დაბოლოება სრულად არის წარმოდგენილი.

1. უთავსართბოლოსართოს ის უპირატესობა აქვს თავსართბოლოსართიანთან შედარებით, რომ:

- ა) იგი შედარებით მოკლეა და ამდენად უფრო მოქნილი;
- ბ) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა;
- გ) ისტორიულად გამართლებულია.

2. ნათესაობითი ბრუნვის სრულ დაბოლოებას კი იმიტომ ვანიჭებთ უპირატესობას შეკვეცილთან შედარებით, რომ:

- ა) გავრცელებული სახეობაა;
- ბ) ისტორიულად გამართლებულია;
- გ) შეესაბამება თანამედროვე ქართული ენის განვითარების ტენდენციას;

დ) ხშირ შემთხვევაში ემფატიკური ა ხმოვანგასაყარადაც გვევლინება; განსაკუთრებით იგრძნობა მისი „სიკეთე“ მაშინ, როდესაც შორის-ის წინ რამდენიმე თანხმოვანი იყრის თავს, ხშირად ძნელი წარმოსათქმელი ერთად. მხედველობაში გვაქვს ისეთი სიტყვები, როგორცაა: ელექტროდთშორისი, უჯრედთშორისი, ლიანდაგთშორისი, რიგთშორისი, ელექტრონმილაკთშორისი, ბლოკთშორისი, ელემენტთშორისი, კონტინენტთშორისი, რემონტთშორისი, კონტაქტთშორისი და მისთ. (შდრ.: დთშ, გთშ, კთშ, ნტთშ, ქტთშ...).

მაშასადამე უნდა გვექონდეს:

კოლმეურნეობათშორისი (და არა: კოლმეურნეობათშორისი ან საკოლმეურნეობათშორისო)

⁷ როგორც ცნობილია, -თ(ა) საერთო ფორმანტია მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვებისათვის მრ. რიცხვში. თანამედროვე ქართულში ისეთი ტენდენციაა, რომ ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციას კისრულობს სრული დაბოლოება (-თა), ხოლო მიცემითისას — შეკვეცილი (-თ). ამის შესახებ: ბ. საბაშვილი, შრავლობითი რიცხვის -თა სუფიქსიან ფორმათა გამოყენების შესახებ ახალ სალიტერატურო ქართულში. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I, თბ., 1971, გვ. 130—131 და 132.

ზონათაშორისი

(და არა: ზონათშორისი ან საზონათა-
შორისო)

რაიონათაშორისი

უწყებათაშორისი

კონტინენტთაშორისი

მთავრობათაშორისი

პლანეტათაშორისი და ა. შ.

გამონაკლისის სახით დარჩება მხოლოდ ორი სიტყვა **სა- — -ო** თავსართ-ბოლოსართით: **საერთაშორისო** და **საქალაქთაშორისო**, რომლებიც საყოველთაოდ არის გავრცელებული და რომლებსაც სხვა პარალელური ფორმები არ გააჩნია⁸.

⁸ იხმარება სიტყვა „ერთაშორის“, მაგრამ მას სხვა მნიშვნელობა აქვს. იგი ნიშნავს არა *международный*-ს, არამედ *межнациональный*-ს.